

თავი 21 ხელისუფლებათა ბაზარი

ჯონათანი კვლავ იმედგაცრუებული იწვა. ამ დროს მაისისიც გამოჩნდა, ნაგვის ყუთებს მონდომებით ათვალიერებდა. ჯონათანის ჯიბეებიდან პურის სუნი იგრძნო, მაგრამ ქუჩის ბოლოდან მომავალმა ხმაურმა იძულებული გახადა, ნაგვის გროვაში მიმალულიყო.

ჯონათანის მიმართულებით დიდი ყავისფერი ძროხა წამოვიდა.

– მუუ... – დაიბლაღლა ძროხამ. ძროხის კისერზე ჩამოკიდებული ზარი მოძრაობისას დროდადრო წკრიალებდა. უეცრად ქუჩის ბოლოს მეორე ძროხაც გამოჩნდა, უკან გაშმაგებული მოხუცი კაცი მოჰყვებოდა ჯოხით ხელში.

– მოდი აქ, სულელო ცხოველო, – ყვიროდა მოხუცი.

ჯონათანი მოიხარა და შეეცადა მხრით მის გვერდით დაგდებული ყუთი გადაეადგილებინა.

მოხუცებულმა ჩაბნელებული კუთხისკენ მიიხედა.

– ვინ არის მანდ? – დაიძახა მან.

მოხუცმა დაინახა გაკოჭილი ჯონათანი, მიიღრინა და პირი გაუთავისუფლა.

ჯონათანმა შევებით ამოისუნთქა და კაცს მიმართა:

– გამძარცვეს. გუთხოვთ, გამხსენით.

მოხუცმა ჯიბიდან დანა ამოიღო და თოკები გადაჭრა.

– გმადლობთ, – თქვა ჯონათანმა და თან დაბუუებულ მაჯებს იზეელდა. მერე კი თავიდან ბოლომდე უამბო მოხუცს, რაც თავს გადახდა.

– ეჰ, – ამოიოხრა სახედანაოჭებულმა ფერმერმა, – ყურადღებას ვერ მოადუნებ ჩვენს დროში. ქალაქში არასდროს ჩამოვიდოდი, მთავრობას დახმარება რომ არ შემოეთავაზებინა.

– ფიქრობთ, მთავრობა დამეხმარება ფულის დაბრუნებაში? – იკითხა ჯონათანმა.

– არა მგონია, მაგრამ იქნებ ხელისუფლებათა ბაზარზე შენ უფრო გაგიმართლოს, – თქვა მოხუცებულმა.

მოხუცს სახე ჩამიჩვიით ჰქონდა, უხეში ტანსაცმელი და ფეხსაცმელი ეცვა. კაცის მშვიდმა საუბარმა და პირდაპირობამ ჯონათანი გააკვირვა.

– ხელისუფლებათა ბაზარი რა არის? იქ რა, საქონელს ყიდიან?

მოხუცმა შუბლი შეიკრა და თავის ცხოველებს გახედა.

– სწორედ მაგის გასაგებად ჩამოვედი. ეს რაღაც სანახაობის მსგავსია. არის ერთი ბანკივით მდიდრული შენობა, რომლის შიგნით მოქალაქეთა ბედის გადასაწყვეტად ხელისუფლებებით ვაჭრობენ.

– რას გულისხმობთ? – აღმოხდა ჯონათანს.

მწყემსმა მზისგან დამწვარი კისერი წამოსწია და თქვა:

– ამ შენობაში ამას წინათ ერთ კაცს შეეხვდი. ის თავის თავს „სოციალისტს“ უწოდებდა და მითხრა, რომ მის სახელმწიფოში ხელისუფლება ჩემს ძროხას წაიყვანდა და სხვა მეზობელს მისცემდა. მე არ მინდა ასეთ სახელმწიფოში ცხოვრება. არავის დახმარება მჭირდება იმაში, რომ ჩემი ძროხა წამართვას და მეზობელს მისცეს. შემდეგ კაშკაშა წითელ პერანგში გამოწყობილ ვიღაც „კომუნისტს“ წავაწყდი. მას ცნობილი ვაჭრის მაღაზიის გვერდით დახლი ჰქონდა. გულიანად გამიღიმა, ხელი მეგობრულად ჩამომართვა და მითხრა, რომ ძალიან მოვწონდი და ზრუნავდა ჩემზე. ნორმალურ ადამიანად მომეჩვენა, სანამ არ მითხრა, რომ მისი ხელისუფლება ჩემს ორივე ძროხას წაიყვანდა. მისი თქმით, ეს ბუნებრივი იქნებოდა, ვინაიდან ძროხა ყველას თანაბარი რაოდენობით ეყოლებოდა და, თუ საჭიროდ ჩათვლიდნენ, ხანდახან რძესაც მომცემდნენ. შემდეგ დაიჟინა, რომ მისი პარტიის სიმღერა მემღერა.

– ეგ რაღა სიმღერაა! – წამოიძახა ჯონათანმა.

– არ ვიცი, ამის მერე მაგ კაცს აღარ გავკარებებო. როგორც ჩანს, საბოლოოდ ყველაფრის მითვისებას აპირებდა. შემდეგ დიდ ვესტიბიულში „ფაშისტს“ წავაწყდი.

ის მთლიანად შავებში იყო გამოწყობილი. ისე გამოიყურებოდა, თითქოს დაკრძალვაზე მიდიოდა.

მოსუცმა ცოტა ხანს თხრობა შეწყვიტა და თავის ძროხას დაუყვირა, რომ ნაგვის გროვიდან გამოეგდო.

– ფაშისტიც იმ ორი კაცის მსგავსად ტკბილად მესაუბრა და მათსავით უამრავი საშინელი აზრი აწუხებდა. მან მითხრა, რომ ჩემს ორივე ძროხას წაიყვანდა და შემდეგ რძეს მომყიდდა. მე ვუპასუხე, რომ ჩემივე ძროხის რძის ყიდვას არ ვაპირებდი. შემდეგ დამემუქრა, რომ მომკლავდა, თუ მის დროშას სამხედრო წესით არ მივესალმებოდი.

– წარმომიდგენია როგორ გამოიქცეოდით იქიდან, – თქვა ჯონათანმა.

– ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოვასწარი, რომ ახლა ერთი „პროგრესული“ ახალგაზრდა წამომეწია და გარიგება შემომთავაზა. მითხრა, რომ ხელისუფლება ფულს გადამიხდიდა, თუ ერთ-ერთ ძროხას დაკლავდი ძროხის საკვების მარაგის შემცირების მიზნით. შემდეგ ის ჩემს მეორე ძროხას მოწვევლიდა და რძის ნაწილს კანალიზაციაში გადაღვრიდა. იგი შემპირდა, რომ დარჩენილ რძეს ძვირად მომყიდდა. ახლა მითხარი, რომელი გიჟი დათანხმდება ამას?

– რა თქმა უნდა, ძალიან უცნაურია. ამ ხელისუფლებიდან რომელიმე აირჩიეთ? – იკითხა ჯონათანმა.

– არა შეილო, რას ამბობ, არავითარ შემთხვევაში. ასეთი ხელისუფლება ვის სჭირდება?! ამისთანებს ჩემს საქმეში ცხვირის ჩაყოფის უფლებას ვერ მივცემ. ამიტომაც გადავწყვიტე, ძროხები ბაზარში წავიყვანო და ხარში გადავცვალო.